

ტექსტი და ფოტოგრაფია ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიოს

შემოქმედებაში (« აფრიკელის » მიხედვით)

სალომე ვადაჭკორია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა,
გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ათინათ მამაცაშვილი პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ვადაჭკორია
10.07.2020

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს ფოტოგრაფიისა და ტექსტის ურთიერთავშირი თანამედროვე ფრანგი მწერლის ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიოს ნაწარმოებ „აფრიკელზე“ დაყრდნობით. ფოტოგრაფიისა და ლიტერატურის ურთიერთმიმართების შესწავლა მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება, მწერლებს აინტერესებდათ ფოტოგრაფიული გამოსახულების ბუნება, მისი კავშირი დროსთან, მეხსიერებასთან. მკვლევარისთვის მნიშვნელოვანი იყო გამოველინა არა მხოლოდ ფოტოზე რეალურად ასახული ობიექტი, არამედ ის რაც ადამიანის თვალისთვის დამალული გახლდათ. ნობელის პრემიის ლაურეატი მწერალი ლიტერატურაში, ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო წიგნში „აფრიკელი“ მოგვითხრობს ისტორიას მამის შესახებ. მწერალი საუბრობს პეიზაჟებით, მეტაფორებით. ეს ყველაფერი კი მის პროზას განსაკუთრებულ ხიბლს სძენს. ლე კლეზიო გამორჩეულია თავისი მგრძნობელობით, იგი ახერხებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერებისა და კულტურის სინქრონიზაციას. მისი პროზა არ არის ჩაკეტილი, მკითხველისთვის შეუმჩნეველია როდის არის მწერალი უცხო ქვეყანაში და როდის შინ, ლე კლეზიო კი მუდმივად მოგზაურობდა.

ფოტოგრაფიის საშუალებით ლე კლეზიომ შეძლო მამის პიროვნების აღმოჩენა და გაცნობა, ვიზუალიზაციის დახმარებით მწერალმა აამეტყველა მამის „ხმაწართმეული“ ნაწილი.

კვლევაში გამოყენებულია ინტერმედიალობისა და თემატური კრიტიკის მეთოდები. ინტერმედიალობა, როგორც კვლევის ინტერდისციპლინური მეთოდი.

ეს მეთოდოლოგია სხვადასხვა მედიუმს შორის, ამ შემთხვევაში კი ტექსტსა და ფოტოგრაფიას შორის, პარალელების კვლევის საშუალებას მოგვცემს.

თემატური კრიტიკის მეთოდის მიზანია ავტორისთვის უხილავი მნიშვნელობების წარმოჩენა. აღნიშნული მეთოდის კრიტიკოსებისთვის კი მნიშვნელოვანია ავტორი, რომლის შინაგანი სამყაროს გამოხატულებას წარმოადგენს მისი ნაწარმოები.

ფოტოები წიგნში, შესაძლოა უფრო მეტს ნიშნავდეს ვიდრე მხოლოდ სიტყვები, ისინი შთაგონებულნი არიან მამის სიძლიერით, რომელიც სიცოცხლის ბოლოს დაემსგავსა აფრიკელებს, რომელთაც წლების განმავლობაში მკურნალობდა. ფოტოსა და ტექსტის კავშირი კი ხშირ შემთხვევაში სუბიექტური და ემოციებზე დაფუძნებულია და არა ობიექტური დოკუმენტური მასალა.

ლე კლეზიო ნაწარმოების ბოლოს შეიცნობს მამას, გრძნობს ოჯახის მიმართ დიდ სიყვარულს, ამ გრძნობებს კი ვერც ერთი ფოტო ვერ ასახავს.

Abstract

The aim of the master's thesis is to study the relationship between photography and text based on the work "African" by the contemporary French writer Jean-Marie Gustave Le Clezio. The relation between photography and literature dates back to the 1980s, writers were interested in the nature of the photographic image, its connection to time and memory. It was important for the researcher to identify not only the object actually visible in the photo, but also what was hidden from the human eye.

Nobel Laureate in Literature Jean-Marie Gustave Le Clezio tells the story of his father in "The African". The writer speaks with landscapes, metaphors. All this gives a special charm to his prose. Le Clezio is distinguished by his sensitivity, he manages to synchronize Eastern and Western nations and cultures. His work is not locked in, it is unnoticed for the reader when he is a writer in a foreign country and when he is at home, while Le Clezio was constantly traveling.

Through photography, Le Clezio was able to discover and get to know his father's personality, with help of visualization, the writer narrated the "silence" part of his father. Intermediate and thematic critique methods are used in the study. Intermediate as an interdisciplinary method of research.

This methodology will allow us to explore parallels between different mediums, in this case between text and photography.

The purpose of the thematic critique method is to present invisible meanings to the author. For the critics of this method, the author, whose inner world is the expression of his work, is important.

The photos in the book may mean more than just words, they are inspired by the strength of a father who at the end of his life resembled the Africans he treated for years. The connection between photography and text is often based on subjective and emotional rather than objective documentary material.

At the end of the work, Le Clezio meets his father, he feels great love for his family, and no photo can reflect these feelings.